

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №116

30/12/2016

მხარეები:

ერთის მხრივ, შპს "მაგთიკომი" (შემდგომში "მიმწოდებელი") - ელექტრონული საკომუნიკაციო კანონმდებლობის შესაბამისად ავტორიზებული იურიდიული პირი, ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, პოლიტკოვსკაის #7, ოფიციალური ვებ-გვერდის მისამართი: www.magicom.ge, 24-საათიანი ცხელი ხაზის ნომერი: +995 32 220 00 00 (შემდგომში "ცხელი ხაზი") და, მეორეს მხრივ, თბილისის მედიათეკების გაერთიანება (შემდგომში "შემსყიდველი") - ს/კ 404967087, იურიდიული მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი 76.

ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტია ა(ა)იპ „თბილისის მედიათეკების გაერთიანების“ საკუთარი ბიუჯეტის სახსრებით სატელეკომუნიკაციო მომსახურების cpv (64200000) გამარტივებული შესყიდვის საშუალებით შესყიდვა, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს1 ქვეპუნქტის შესაბამისად.

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერიდან 2017 წლის 1 მარტის ჩათვლით

მომსახურების მიღების ვადა - 2017 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 31 იანვრის ჩათვლით

1. ტერმინთა განმარტება.

- 1.1. სატელეფონო მომსახურება ან მომსახურება - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის ადგილობრივი, საქალაქთაშორისო და საერთაშორისო სატელეფონო კავშირით მომსახურება;
- 1.2. შეკვეთის ფორმა - ამ ხელშეკრულების დანართი #1, რომლითაც განისაზღვრება შემსყიდველის მიერ შეკვეთილი სატელეფონო მომსახურების სახე, ძირითადი მახასიათებლები და ანგარიშსწორების პირობები;
- 1.3. სატელეფონო მომსახურების აპარატურა - სატელეფონო მომსახურების გასაწევად საჭირო აპარატურა, კერძოდ, მოდემი, კაბელი, სვიჩი, ატა ადაპტერი (analog telephone adapter, მულტიპლექსორი (multiplexer) და სხვა;
- 1.4. სააბონენტო ნომერი - სატელეფონო ნუმერაციის რესურსი;
- 1.5. სააბონენტო მოწყობილობა - შემსყიდველის საკუთრებაში / მართლობაში მფლობელობაში არსებული ტელეფონის აპარატი, რომელიც, სააბონენტო ნომრის მეშვეობით, იძლევა მომსახურების მიღების საშუალებას;
- 1.6. სააბონენტო გადასახდელი - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის სატელეფონო (სააბონენტო) ხაზით უზრუნველყოფის ყოველთვიური ერთჯერადი გადასახდელი, რომელიც მოიცავს სააბონენტო ნომრით, სატელეფონო არხებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ვირტუალური ასს-ით (ასეთის არსებობის შემთხვევაში) სარგებლობის საფასურს;
- 1.7. ანგარიში - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის მიწოდებული ანგარიში შესაბამის საანგარიშო პერიოდში მის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ, რომელშიც მითითებულია ჯამური სააბონენტო გადასახდელი, წუთობრივი მომსახურების ჯამური საფასური და სხვა დარიცხული გადასახდელი (მათ შორის, შეკვეთის ფორმით განსაზღვრული ერთჯერადი გადასახდელი), ასევე, მათი გადახდის ვადა;
- 1.8. ვირტუალური ასს - ვირტუალური ავტომატური სატელეფონო სადგური (ე.წ. Virtual PBX);
- 1.9. სატელეფონო არხები - შეკვეთის ფორმით განსაზღვრული სააბონენტო ნომრისთვის გამოყოფილი დამატებითი სატელეფონო არხების რაოდენობა, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ სააბონენტო ნომრზე ერთდროულად ამავე რაოდენობის სატელეფონო ზარის გატარებას (მიღებას ან წამოწყებას);
- 1.10. ლიმიტი - ფიქსირებული თანხა, რომელსაც არ უნდა აღემატებოდეს მიმდინარე საანგარიშო პერიოდში შემსყიდველის მიერ განხორციელებული და მისთვის დარიცხული წუთობრივი სატელეფონო ზარების ღირებულება;
- 1.11. VoIP ტექნოლოგია - ინტერნეტ პროტოკოლების ციფრული ქსელების მეშვეობით სატელეფონო ზარების განხორციელების ტექნოლოგია, რომელიც ხმოვან სიგნალს აკონვერტირებს ციფრულ საინფორმაციო პაკეტებად და უზრუნველყოფს ორმხრივ თანადროულ გადაცემას ინტერნეტ პროტოკოლების გამოყენებით;
- 1.12. სადემარკაციო წერტილი - ადგილი, სადაც შემსყიდველის შიდა ქსელი უერთდება მიმწოდებლის საერთო საკომუნიკაციო ქსელს და, სადაც ხდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის ვალდებულებების გამიჯვნა. ორგანიზაციის და გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, სატელეფონო მომსახურების აპარატურა მდებარეობს სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველის მხარეს, შემსყიდველის შიდა ქსელში;
- 1.13. ინსტალაცია - მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის შიდა ქსელში სატელეფონო მომსახურების აპარატურის მონტაჟი და შემსყიდველისთვის შეკვეთილი მომსახურების გაწევის დაწყება;
- 1.14. მენეჯერი - მიმწოდებლის ერთ-ერთი თანამშრომელი, რომელიც შემსყიდველთან ურთიერთობაში მოქმედებს მიმწოდებლის სახელით;
- 1.15. საშუალო საათები - დროის პერიოდი ორმახაიდან პარასკევის (გარდა უქმე დღეებისა) ჩათვლით, თბილისის დროით დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე;
- 1.16. საანგარიშო პერიოდი - კალენდარული თვე;
- 1.17. ინდივიდუალური შეტყობინება - შეკვეთის ფორმით განსაზღვრულ შემსყიდველის საკონტაქტო მონაცემებზე მიმწოდებლის მიერ გადაცემული წერილობითი შეტყობინება, ასევე, მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტით განსაზღვრული ინდივიდუალური შეტყობინების სხვა ფორმა;
- 1.18. მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტი - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ 2006 წლის 17 მარტის დადგენილება #3-ით დამტკიცებული ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში მომსახურების მიწოდებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ რეგლამენტი;
- 1.19. პორტაბელურობის დებულება - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2010 წლის 6 ივლისის დადგენილება N 3 სააბონენტო ნომრების პორტაბელურობის დებულების დამტკიცების შესახებ;
- 1.20. პორტირება - სააბონენტო ნომრის პორტირების პროცესი, როდესაც შემსყიდველს ეძლევა შესაძლებლობა მოახდინოს მისი სააბონენტო ნომრის გადატანა მისი დონორი ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელსა და მიმღები ოპერატორის საკომუნიკაციო ქსელში, სააბონენტო ნომრის შეცვლის გარეშე და მიიღოს შესაძლებლობა, ისარგებლოს მიმღები ოპერატორის მომსახურებით;
- 1.21. დონორი ოპერატორი - პორტაბელურობის დებულებით განსაზღვრული ავტორიზებული პირი, რომლის ბოლო მომხმარებელი ითხოვს სააბონენტო ნომრის პორტირებას ან/და რომლის მომსახურებასაც ღებულობდა ბოლო მომხმარებელი სააბონენტო ნომრის პორტირებამდე;

- 1.22. მიმღები ოპერატორი – პორტაბელურობის დებულებით განსაზღვრული ავტორიზებული პირი, რომლის მომსახურების მიღება სურს პორტირების მსურველ ბოლო მომხმარებელს ან/და რომლის მომსახურებას ღებულობს ბოლო მომხმარებელი სააბონენტო ნომრის პორტირების შემდგომ.
- 1.23. მომხმარებლის პირადი სივრცე - შემსყიდველისთვის განკუთვნილი, პაროლით დაცული ინტერნეტ პორტალი, რომლის გამოყენებით შემსყიდველს საშუალება აქვს, მიმწოდებლის მიერ დადგენილი წესების და პირობების შესაბამისად, ისარგებლოს ხელმისაწვდომი დისტანციური ოპერაციებით, რაც მოიცავს (მაგრამ არ შემოიფარგლება) მომსახურებ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის დათვალიერებას, კონკრეტულ მომსახურებასთან დაკავშირებული ტექნიკური თუ ფინანსური პრობლემების დაფიქსირებასა და დაფიქსირებულ პრობლემაზე მიმწოდებლისაგან სტატუსის მიღებას.

2. ხელშეკრულების საგანი. მომსახურების ძირითადი პირობები.

- 2.1. ხელშეკრულების საგანია სატელეფონო მომსახურების მიწოდება. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, მიაწოდოს შემსყიდველს შეკვეთის ფორმით განსაზღვრული მომსახურება, რის სანაცვლოდაც, შემსყიდველი ვალდებულია, გადაუხადოს მიმწოდებელს ამავე შეკვეთის ფორმით განსაზღვრული მომსახურების საფასური.
- 2.2. სატელეფონო მომსახურების გაწევის მიზნით, მიმწოდებელი შემსყიდველს გამოუყოფს სააბონენტო ნომრის და დროებით სარგებლობაში გადასცემს სატელეფონო მომსახურების აპარატურას. სააბონენტო ნომერი გამოიყენება შემსყიდველის ანგარიშის იდენტიფიკაციის, სატელეფონო ქსელში ჩართვის და მისთვის სატელეფონო მომსახურების გაწევის მიზნებისათვის.
- 2.3. შეკვეთის ფორმით განისაზღვრება სააბონენტო ნომერი, მომსახურების მიღების მისამართი, ინსტალაციის ვადა/თარიღი და ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი. შეკვეთის ფორმით ასევე შეიძლება განისაზღვროს სტატიკური IP მისამართი, ინსტალაციის ერთჯერადი საფასური, სააბონენტო ნომრის გამოყოფის ერთჯერადი საფასური, სატელეფონო არხების რაოდენობა, ლიმიტი და შეკვეთით მომსახურებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები და ფინანსური პირობები.
- 2.4. თუ შემსყიდველს დამატებით სურს მისთვის გამოყოფილ სააბონენტო ნომერზე ვირტუალური ასს-ის მოწყობა და მისი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, შეკვეთის ფორმით განისაზღვრება ვირტუალური ასს-ის მოწყობის (კონფიგურაციის) ერთჯერადი საფასური (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ხოლო ვირტუალური ასს-ის ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის - ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელი.
- 2.5. თუ შეკვეთითი მომსახურების მიწოდება ხორციელდება VoIP ტექნოლოგიით, ხოლო შემსყიდველს, ხელშეკრულების ან/და შეკვეთის ფორმის გაფორმების მომენტისათვის, არ მიეწოდება ინტერნეტ-მომსახურება, მაშინ ინსტალაციის ვადაში გაითვალისწინება ის დრო, რაც, სავარაუდოდ, საჭიროა შემსყიდველისათვის ინტერნეტ-მომსახურების მიწოდების დაწყებისათვის.
- 2.6. შეკვეთის ფორმაში მოცემული ცხრილის თითოეულ ჰორიზონტალურ რიგში მითითებული მახასიათებლების მქონე მომსახურება არის ამავე ცხრილის სხვა ჰორიზონტალურ რიგში მოცემული მომსახურებისგან დამოუკიდებელი.
- 2.7. გამავალი, სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული, სატელეფონო ზარების წუთობრივი ღირებულება განისაზღვრება შეკვეთის ფორმის დანართით.
- 2.8. მომსახურების მიწოდებისათვის საჭირო სააბონენტო მოწყობილობის შეძენას, რომელიც შესაბამეა მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ სავალდებულო ტექნიკურ მოთხოვნებსა და სტანდარტებს, შემსყიდველი უზრუნველყოფს დამოუკიდებლად.
- 2.9. მომსახურების შეწყვეტისას შემსყიდველი წყვეტს სააბონენტო ნომრით სარგებლობას, და ნომერი უბრუნდება მიმწოდებელს. ამ წესიდან გამონაკლისია პორტირების შემთხვევა, როდესაც მიმწოდებლის ქსელიდან სხვა სატელეფონო ოპერატორის ქსელში პორტირებულ აბონენტს, მიმწოდებელს მიერ მისთვის გადაცემული სააბონენტო ნომერი რჩება სარგებლობაში. ამ შემთხვევაში, მიმღებ ოპერატორთან ხელშეკრულების შეწყვეტისას (თუ ამ შეწყვეტის შემდეგ აღარ ხდება შემდგომი პორტირება) სააბონენტო ნომერი უნდა დაუბრუნდეს მიმწოდებელს.
- 2.10. შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლისთვის წერილობით განაცხადის წარდგენის შემდგომ, შეცვალოს მისთვის გამოყოფილი სააბონენტო ნომერი, მხოლოდ მიმწოდებლის თანხმობის შემთხვევაში.

3. მომსახურებით სარგებლობის ძირითადი წესები.

- 3.1. შემსყიდველი უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ ისარგებლოს მომსახურებით დღე-ღამის ნებისმიერ მოწვევით და გამოიყენოს იგი ნებისმიერი მიზნებისათვის, გარდა მოქმედი კანონმდებლობითა და ხელშეკრულებით აკრძალულისა.
- 3.2. მომსახურებით სარგებლობისას აკრძალულია მომსახურების სხვა, მესამე, პირებისათვის მიწოდება/გადაყიდვა.
- 3.3. შემსყიდველი ვალდებულია, მომსახურებით სარგებლობისას, გაითვალისწინოს საქართველოს სატელეკომუნიკაციო კანონმდებლობის მოთხოვნები.
- 3.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეაჩეროს შემსყიდველისათვის მომსახურების მიწოდება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი არღვევს წინამდებარე მუხლით განსაზღვრულ მომსახურებით სარგებლობის ძირითად წესებს. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ შემსყიდველი არ აღმოფხვრის დარღვევას მომსახურების შეჩერებიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მომსახურების ხელმისაწვდომობა.

- 4.1. მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს შეკვეთილი მომსახურების ხელმისაწვდომობა წლიური 99%-იანი მაჩვენებლით, რაც გულისხმობს ყოველი სრული საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მომსახურების ჯამში არაუმეტეს 8 საათიან ისეთ შეწყვეტას ან შეფერხებას, რომლისთვისაც მიმწოდებელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა. ამასთან, შემსყიდველისათვის მომსახურების აღნიშნული მაჩვენებლით მიწოდების შემთხვევაში, მომსახურება ჩაითვლება უწყვეტად და ჯეროვნად მიწოდებულად. მომსახურების შეწყვეტად ან შეფერხებად ითვლება სატელეფონო კავშირის დარღვევის ყოველი ფაქტი, რომელიც დადასტურებულია გამზომ-გამსინჯავი მოწყობილობების საშუალებით, შემსყიდველისათვის გამოკითხვით და, რომელიც ზღუდავს შემსყიდველის მიერ მომსახურების მიღებას (შემდგომში "დაზიანება").
- 4.2. დაზიანების ხანგრძლივობა გამოითვლება შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისთვის დაზიანების შესახებ შეტყობინების გაგზავნისა და მიმწოდებლის მიერ მისი მიღების მომენტიდან დაზიანების აღმოფხვრის მომენტამდე. ამასთან, დაზიანების შესახებ შემსყიდველი მიმწოდებელს ატყობინებს მომხმარებლის პირადი სივრცის საშუალებით, რომლის შემდგომ, საპასუხოდ, მიმწოდებელი, ამგვარი პირადი სივრცის საშუალებით უგზავნის შემსყიდველს ინფორმაციას დაზიანების სტატუსის შესახებ, ხოლო მომხმარებლის პირადი სივრცის ხელმიუწვდომლობის შემთხვევაში, ცხელ ხაზზე ნებისმიერ დროს განხორციელებული ზარით ან მენეჯერისათვის, 4.3 მუხლის შესაბამისად, შეტყობინების გაგზავნით. დაზიანების აღმოფხვრა წარმოებს მხოლოდ სამუშაო დღეებში და შაბათს (თუ შაბათი არ არის უქმე დღე), თბილისის დროით დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე.
- 4.3. დაზიანების შესახებ შეტყობინებას მენეჯერი იღებს მხოლოდ ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, თბილისის დროით დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ან სატელეფონო კავშირით, მენეჯერის მობილური ტელეფონის ან სამსახურის შიდა ნომრის მეშვეობით, ხოლო შაბათს, თბილისის დროით დილის 9-დან საღამოს 6 საათამდე - მხოლოდ მენეჯერის მობილური ტელეფონის მეშვეობით. ამასთან, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინება მენეჯერის მიერ მიღებულად ჩაითვლება მიღების დადასტურებისთანავე, ხოლო მიღების დადასტურების არარსებობის შემთხვევაში, გაგზავნიდან 1 საათის შემდეგ.
- 4.4. დაზიანების ხანგრძლივობის გამოთვლისას არ გაითვალისწინება ისეთი დაზიანების ხანგრძლივობა, რაც გამოწვეულია 5.3 მუხლით განსაზღვრული შემთხვევებით. პერიოდი, როდესაც ხდება მომსახურების მიწოდების შეწყვეტა ან შეფერხება შემსყიდველის მიერ წინამდებარე 9.2. მუხლის პირობათა დარღვევის შედეგად, ასევე არ გაითვალისწინება დაზიანების ხანგრძლივობის გამოთვლისას.

5. დაზიანებათა აღმოფხვრა. მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ფარგლები.

- 5.1. მიმწოდებელი ვალდებულია, აღმოფხვრას დაზიანება, რომლის შედეგად შემსყიდველს შეფერხებით ან საერთოდ არ მიეწოდება შეკვეთილი მომსახურება და რომლის აღმოფხვრის ვალდებულება, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის შესაბამისად, ეკისრება მიმწოდებელს. მიმწოდებელი ვალდებულია, ასეთი დაზიანება აღმოფხვრას გონივრულ ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტის მე-18¹ მუხლის მიხედვით ასეთი დაზიანების აღმოფხვრისათვის განსაზღვრული ვადისა. კავშირის დაზიანების ის შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ზემოაღნიშნული რეგლამენტით, უნდა აღმოიფხვრას არა უგვიანეს 24 საათისა, თუ ეს არ არის გამოწვეული ფორსმაჟორული გარემოებით ან/და ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი სხვა კომპანიების ქსელის გაუმართაობით. დაზიანების ხანგრძლივობა, რაც გამოწვეულია 5.3 მუხლით განსაზღვრული შემთხვევებით არ გაითვალისწინება დაზიანებათა აღმოფხვრისათვის ამ პუნქტით დადგენილ ვადებში.
- 5.2. იმ შემთხვევაში, როდესაც დაზიანება სადემარკაციო წერტილიდან მიმწოდებლის მხარესაა, მიმწოდებელი ვალდებულია აღმოფხვრას დაზიანება უფასოდ, საკუთარი ხარჯებით. იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველისთვის მხარეზეა, მიმწოდებელი ვალდებულია აცნობოს შემსყიდველს ამის შესახებ და შესთავაზოს მას დაზიანების აღმოფხვრა თანხის გადახდით, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ინდივიდუალურად, დაზიანებიდან გამომდინარე, მიმწოდებლის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.
- 5.3. მიმწოდებელი არ არის ვალდებული აღმოფხვრას დაზიანება, თუ:
 - ა) დაზიანება არის სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველის მხარეს და იგი არ არის დაკავშირებული მომსახურების მიღებისათვის მოწყობილი ინფრასტრუქტურასთან (კაბელები და სატელეფონო მომსახურების აპარატურის ერთობლიობა);
 - ბ) დაზიანება გამოწვეულია სააბონენტო მოწყობილობის გაუმართაობით/დაზიანებით/ტექნიკური წუნით;
 - გ) შემსყიდველი მიმწოდებლის წარმომადგენლებს არ უშვებს მომსახურების მიღების ფართზე დაზიანების აღმოსაფხვრელად.
- 5.4. დაზიანებად არ ითვლება ის შემთხვევა, როდესაც სატელეფონო კავშირი შეწყდა სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველის მხარეს სატელეფონო მომსახურების აპარატურისათვის ან სააბონენტო მოწყობილობისათვის ელექტროენერჯის მიწოდების შეწყვეტით.
- 5.5. სატელეფონო ქსელის აგებულების თავისებურებებიდან გამომდინარე, მომსახურება და მისი ხარისხი დამოკიდებულია სხვა ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებლების, მათ შორის საქალაქთაშორისო ან საერთაშორისო სატელეფონო მომსახურების ოპერატორების მოწყობილობების და მათი ფუნქციონირების ხარისხზე, რომელიც სცილდება მიმწოდებლის პასუხისმგებლობის ფარგლებს, შესაბამისად, მიმწოდებელი პასუხს არ აგებს შემსყიდველის წინაშე მომსახურების ისეთი შეწყვეტის ან შეფერხებისათვის, რომელიც გამოწვეულია ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სხვა მიმწოდებლების მიხედვით.

6. სატელეფონო ქსელის დაცულობა

- 6.1. მიმწოდებელი ვალდებულია, ტექნოლოგიური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დაიცვას სადემარკაციო წერტილიდან მიმწოდებლის მხარეს არსებული საკუთარი სატელეფონო ქსელის ინტეგრაცია და შეუვალობა, არ დაუშვას ქსელებითა და საშუალებებით არასანქცირებული სარგებლობა, მიიღოს ზომები შემსყიდველის დასაცავად მომსახურებით სარგებლობის შედეგად გამოწვეული ნებისმიერი შესაძლო რისკისაგან.
- 6.2. თუ შემსყიდველისთვის სატელეფონო მომსახურების მიწოდება ხორციელდება VoIP ტექნოლოგიით და ამ მომსახურების მისაღებად გამოყოფილი სერვერები განთავსებულია სადემარკაციო წერტილიდან შემსყიდველის მხარეს, მაშინ შემსყიდველი თავად აგებს პასუხს აღნიშნული სერვერებისა და მისი შიდა ქსელის უსაფრთხოებასა და დაცულობაზე. შესაბამისად, თუ შემსყიდველი არ იცავს უსაფრთხოების წესებს, რის გამოც შესაძლოა პირების მიერ ხორციელდებოდა მომსახურებით არასანქცირებული/უნებართვო სარგებლობა, შემსყიდველი ვალდებულია, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამგვარი არასანქცირებული სარგებლობის პერიოდში გაწეული მომსახურების საფასური (სააბონენტო გადასახდელი და წუთობრივი მომსახურების საფასური) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით.
- 6.3. თუ შემსყიდველისთვის სატელეფონო მომსახურების მიწოდება ხორციელდება VoIP ტექნოლოგიით დამიწოდებელმა შემსყიდველს გაუმჟღავნა მომხმარებლის სახელი (username) და პაროლი, რომლითაც ხდება შემსყიდველისთვის მომსახურების მისაღებად გამოყოფილი სააბონენტო ნომრის იდენტიფიცირება და დაცვა მიმწოდებლის ქსელში, მაშინ შემსყიდველი თავად აგებს პასუხს username-სა და პაროლის დაცულობასა და გაუმჟღავნებლობაზე, ასევე მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სატელეფონო მომსახურების აპარატურის - ატა ადაპტერის - დაცულობაზე. შესაბამისად, თუ შემსყიდველი არ იცავს უსაფრთხოების წესებს, რის გამოც შესაძლოა პირების მიერ ხორციელდებოდა მომსახურებით არასანქცირებული/უნებართვო სარგებლობა, შემსყიდველი ვალდებულია, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამგვარი არასანქცირებული სარგებლობის პერიოდში გაწეული მომსახურების საფასური (სააბონენტო გადასახდელი და წუთობრივი მომსახურების საფასური) ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით. ამასთან, წინამდებარე 6.3 მუხლით განსაზღვრული პირობა არ გამოირიცხავს მიმწოდებლის ვალდებულებას, თავადიც დაიცვას შემსყიდველის username და პაროლი და არ გაუმჟღავნოს ის სხვა პირებს.
- 6.4. თუ შემსყიდველს VoIP (კერძოდ, SIP Trunking) ტექნოლოგიით მიეწოდება მრავალარხიანი სატელეფონო მომსახურება, მაშინ, შემსყიდველს, მომსახურების მიწოდების ტექნიკური გადაწყვეტიდან გამომდინარე, სააბონენტო ნომრითან ერთად, ენიჭება სტატიკური IP მისამართი, რაც მიითითება შეკვეთის ფორმაში. ამასთან, შემსყიდველი თავად არის პასუხისმგებელი აღნიშნული IP მისამართის დაცულობაზე. ამ შემთხვევაში, შემსყიდველის ანგარიშის იდენტიფიცირება ხდება IP მისამართის მეშვეობით, კერძოდ, IP მისამართის მეშვეობით წარმოქმნილი ან დასრულებული სატელეფონო კავშირი ჩაითვლება შემსყიდველის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მომსახურების მიღებად, მიუხედავად იმისა, კავშირი განხორციელებულია შეკვეთის ფორმის შესაბამისად შემსყიდველისათვის გამოყოფილი სააბონენტო ნომრის მეშვეობით თუ მის გარეშე.

7. ზოგადი ფინანსური პირობები.

- 7.1. შემსყიდველი ვალდებულია, მომსახურებით სარგებლობისათვის, გადაიხადოს სააბონენტო გადასახდელი და შესაბამისი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში დარიცხული სატელეფონო კავშირების წუთობრივი ღირებულება შემდგომი გადახდის წესით, ყოველთვიურად. შემსყიდველისასევე ვალდებულია, გადაიხადოს სააბონენტო ნომრის გამოყოფის, მომსახურების ინსტალაციის, ვირტუალური ასს-ის მოწყობის ერთჯერადი საფასური და სხვა გადასახდელი თუ ეს განსაზღვრულია შეკვეთის ფორმით.
- 7.2. მომსახურების ყოველთვიური საფასური მოიცავს ფაქტობრივად გაწეული/გასაწევი მომსახურების ღირებულებას და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე შემსყიდველისთვის გადაცემული სატელეფონო მომსახურების აპარატურით სარგებლობის საფასურს.
- 7.3. შემსყიდველს, მომსახურების ყოველთვიური საფასურის გადახდამდე 10, 5 და 1 კალენდარული დღით ადრე, შემსყიდველის საკონტაქტო პირის მობილურზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და ელექტრონულ ფოსტაზე იმილის გაგზავნის გზით, ეგზავნება წინა საანგარიშო პერიოდის შესახებ ანგარიში და გაფრთხილება მომსახურების საფასურის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში მომსახურების მოსალოდნელი შეზღუდვის თაობაზე. შემსყიდველი მიმწოდებელთან ანგარიშსწორებას ახორციელებს მისთვის წარდგენილი ანგარიშის საფუძველზე შეკვეთის ფორმით განსაზღვრული გადახდის პირობის შესაბამისად. შემსყიდველის მიერ გადასახდელი ყველა ან ნებისმიერი თანხის დადგენილ ვადაში სრულად ან ნაწილობრივ გადაუხდელობის გამო შემსყიდველს დაეკრება დავალიანება გადაუხდელი თანხის ნაწილი.
- 7.4. თუ შემსყიდველს ერიცხება დავალიანება, მაშინ მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეზღუდოს მომსახურების მიწოდება, რაც გულისხმობს, რომ მომსახურების შეზღუდვის მთელი პერიოდის განმავლობაში: ა) შემსყიდველი ვერ ახორციელებს გამავალ ზარებს; ბ) შემსყიდველის იღებს

შემომავალ ზარებს მომსახურების შეზღუდვის თარიღიდან არანაკლებ 15 კალენდარული დღის განმავლობაში; გ) შემსყიდველი შეუზღუდავად სარგებლობს საგანგებო ნომრებით. შემსყიდველს, მომსახურების შეზღუდვის პერიოდის იმ ნაწილში, როდესაც იგი იღებს შემომავალ ზარებს, ერიცხება სააბონენტო გადასახდელი დღეების მიხედვით. თუ შემსყიდველი არ ფარავს დავალიანებას სრულად, მომსახურების შეზღუდვის თარიღიდან 60 (სამოცი) კალენდარული დღის შემდეგ, მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეუწყვიტოს შემსყიდველს იმ მომსახურების მიწოდება, რომლისთვისაც მას ერიცხება დავალიანება, და მოახდინოს შემსყიდველისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემული სატელეფონო მომსახურების აპარატურის დემონტაჟი. მიმწოდებელი ასევე უფლებამოსილია მოსთხოვოს, რა შემთხვევაშიც შემსყიდველი ვალდებულია გადაიხადოს მიმწოდებლის სასარგებლოდ ჯარიმა გადაუხდელი თანხის 20 პროცენტის ოდენობით.

- 7.5. თუ შემსყიდველი, მომსახურების შეზღუდვის პერიოდის განმავლობაში, სრულად დაფარავს დავალიანებას, მაშინ მას, აღნიშნული დავალიანების დაფარვის მიმწოდებლის ბილინგის სისტემაში ასახვიდან ერთი საათის განმავლობაში, აღუდგება მომსახურების მიწოდება. თუ დავალიანების დაფარვა აისახა არასამუშაო საათებში, მაშინ მომსახურება აღდგენა მომდევნო სამუშაო დღის პირველი სამუშაო საათის განმავლობაში.
- 7.6. თუ მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების ხანგრძლივობა გადასცდა ამ ხელშეკრულების 4.1 მუხლით განსაზღვრულ დროს და კალენდარული დღის განმავლობაში შეადგინა არანაკლებ 1 საათი, მაშინ მიმწოდებელი შემსყიდველს, მოცემული დღის განმავლობაში მომსახურების არასაპატიოდ შეწყვეტის ან შეფერხებისათვის, სთავაზობს შემდეგ საკომპენსაციო პირობას: ა) 1-დან 8 საათამდე მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხებისთვის - სააბონენტო გადასახდელის პროპორციული ერთი დღის სააბონენტო საფასური; ბ) 8-დან 16 საათამდე მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხებისთვის - სააბონენტო გადასახდელის პროპორციული სამი დღის სააბონენტო საფასური. აღნიშნული საკომპენსაციო პირობა ამოქმედდება მხოლოდ შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, ამასთან, ამგვარი მოთხოვნა მიმწოდებელს უნდა წარედგინოს მიმდინარე საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ამ შემთხვევაში, შესაბამისად შემცირდება მიმდინარე საანგარიშო პერიოდისათვის გადასახდელი სააბონენტო გადასახდელი. მიმწოდებელი ვალდებულია, ინფორმაცია მიმდინარე საანგარიშო პერიოდში მომსახურების შეწყვეტის ან შეფერხების შესახებ, შეინახოს მინიმუმ შემდგომი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში. ორპარტიულობის თავიდან აცილების მიზნით, მიმწოდებელი აცხადებს, რომ მას, შესაძლოა, არ ჰქონდეს ტექნიკური შესაძლებლობა აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ შეინახოს ეს ინფორმაცია.
- 7.7. ნებისმიერი მიზეზით მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელი შემსყიდველს, შეწყვეტიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, შემსყიდველის საკონტაქტო პირის მობილურზე მოკლე ტექსტური შეტყობინების ან/და ელექტრონულ ფოსტაზე იმეილის გაგზავნის გზით, წარუდგენს ანგარიშს იმ გაწეული მომსახურების შესახებ, რომელზეც შემსყიდველს ჯერ არ მიუღია ანგარიში. შემსყიდველი ვალდებულია, სრულად დაფაროს წარდგენილი ანგარიშით განსაზღვრული თანხა ანგარიშის მიღებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

8. განხორციელებული ზარების ხანგრძლივობის განსაზღვრა

- 8.1. სატელეფონო ზარის ხანგრძლივობა გამოიანგარიშება ზარის მიმღები პირის, ან სააბონენტო მოწყობილობის მიერ ზარის წამოწყები პირისათვის პასუხის პირველივე წამიდან, სატელეფონო კავშირის გათიშვამდე.
- 8.2. სააბონენტო მოწყობილობებს, რომელთა საპასუხო სიგნალი უთანაბრდება გამოძახებული პირის პასუხს და წარმოადგენს სატელეფონო კავშირის ხანგრძლივობის გაანგარიშების დაწყებას, განეკუთვნება: მონაცემთა გადაცემის აპარატურა, მათ შორის მოდემი და ფაქსის აპარატი, რომელიც ფუნქციონირებს ინფორმაციის ავტომატურად მიღების რეჟიმში; ნებისმიერი სააბონენტო მოწყობილობა, რომელიც აღჭურვილია ავტომატურად; ხმოვანი ფოსტის მოწყობილობა; სხვა სახის მოწყობილობა, რომელიც უზრუნველყოფს ან ახდენს ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობის იტიტაციას გამოძახებული პირის არარსებობისას.
- 8.3. სატელეფონო ზარის ხანგრძლივობის გამოანგარიშებისას, წუთობრივი ტარიფის აპლიკაციის მიზნებისათვის, სატელეფონო ზარის ხანგრძლივობა განისაზღვრება წამობრივი სიზუსტით.

9. მიღება-ჩაბარების აქტი. სატელეფონო მომსახურების აპარატურა.

- 9.1. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი ადასტურებს შეკვეთილი მომსახურების ინსტალაციას და სატელეფონო მომსახურების აპარატურის შემსყიდველისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემის ფაქტს. მხარეები ადასტურებენ, რომ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერი პირები არიან მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ სატელეფონო მომსახურების აპარატურის მიღება-ჩაბარებას.
- 9.2. შემსყიდველი ვალდებულია, გაუფრთხილდეს მიმწოდებლის მიერ მისთვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ სატელეფონო მომსახურების აპარატურას, როგორც საკუთარს. შემსყიდველს ეკრძალება სატელეფონო მომსახურების აპარატურის ნებისმიერი სახითა თუ ფორმით მოდიფიცირება, მათ შორის საგარანტიო ლუქის (საგარანტიო ლუქის არსებობის შემთხვევაში) მოხსნა, მოწყობილობებისა თუ პროგრამული უზრუნველყოფის ნებისმიერი სახის ცვლილება, მიუხედავად იმისა, იწვევს თუ არა ლუქის მოხსნა, ან ცვლილება სატელეფონო მომსახურების აპარატურის დაზიანებას. შემსყიდველის ბრალით სატელეფონო მომსახურების აპარატურის სრულად დაზიანების ან დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს სატელეფონო მომსახურების აპარატურის ღირებულება, რომლის ოდენობაც განისაზღვრება მიღება-ჩაბარების აქტით. შემსყიდველის ბრალით სატელეფონო მომსახურების აპარატურის ნაწილობრივ დაზიანების შემთხვევაში (თუ შესაძლებელია დაზიანების აღმოფხვრა), შემსყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს დაზიანების აღმოფხვრის ხარჯებს. ამ მუხლით განსაზღვრულ ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს შესაბამისი სატელეფონო მომსახურების აპარატურის მეშვეობით მიღებული მომსახურებისათვის დარიცხული ყოველთვიური საფასურის მომდევნო გადახდასთან ერთად.
- 9.3. შემსყიდველი ვალდებულია, შეკვეთილი მომსახურების ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგ, მიმწოდებლის წერილობითი მოთხოვნისა და 5 სამუშაო დღის ვადაში, მიმწოდებელთან შეთანხმებით, მისთვის ხელსაყრელ დროს, დაუშვას მიმწოდებლის წარმომადგენლები მომსახურების მიღების ფართზე და შეუქმნას მათ შეჩვეტილი მომსახურების აპარატურის დემონტაჟისათვის საჭირო პირობები. თუ შემსყიდველი დაარღვევს ამ ვალდებულებას, შემსყიდველი შემსყიდველი ვალდებულია მიმწოდებლის მოთხოვნისა (ინვოისის გაგზავნიდან) 10 კალენდარულ დღეში გადაუხადოს მიმწოდებელს მომსახურების აპარატურის ღირებულება, რომელიც მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტში.

10. ცვლილებები. ინფორმაციის მიწოდება.

- 10.1. მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს, სულ მცირე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე, ინდივიდუალური შეტყობინებით მიაწოდოს ინფორმაცია მომსახურების პირობების იმგვარი ცვლილების შესახებ, რაც ზრდის შემსყიდველზე დაკისრებული ვალდებულებების მოცულობას ან/და იმგვარად ცვლის მომსახურების პირობებს, რომ აღნიშნულს შეუძლია არსებითი გავლენა მოახდინოს შემსყიდველის გადაწყვეტილებაზე მომსახურების მიღების გაგრძელების თაობაზე.

- 10.2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მიმწოდებელს აქვს უფლება, ნუმერაციის რესურსის ეროვნულ სისტემასთან დაკავშირებით საქართველოს კანონმდებლობის ცვლილებით გამოწვეული აუცილებლობის შემთხვევაში, შეცვალოს სააბონენტო ნომერი ან/და სატელეფონო კოდები შემსყიდველისთვის ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნის გზით. მიმწოდებელს ასევე აქვს უფლება, შეცვალოს სააბონენტო ნომერი (გარდა იმ სააბონენტო ნომრისა, რომლის გამოყოფისთვის შემსყიდველმა მიმწოდებელს გადაუხადა ერთჯერადი საფასური) სხვა ობიექტური გარემოებების არსებობის გამო შემსყიდველისთვის 10 სამუშაო დღით ადრე ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნის გზით.
- 10.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია, ცალმხრივად შეცვალოს სააბონენტო გადასახდელის (მისი რომელიმე ან ყველა შემადგენელი ნაწილის) ან/და სატელეფონო კავშირების წუთობრივი ღირებულების ტარიფები, რის შესახებაც უნდა აცნობოს შემსყიდველს წერილობით, ცვლილების ძალაში შესვლამდე არანაკლებ 10 (ათი) დღით ადრე შემსყიდველისათვის ინდივიდუალური შეტყობინების გაგზავნის გზით.
- 10.4. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, მოთხოვნიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, მიაწოდოს შემსყიდველს დეტალური ანგარიში ("დეტალური ანგარიში") წინა საანგარიშო პერიოდებში გაწეული მომსახურების სახის, ტარიფის, თარიღის, მომსახურების გაწევის დროის, დროის ხანგრძლივობის (წუთობრივად), შემომავალი და გამავალი ზარების ნომრების შესახებ. ბოლო საანგარიშო პერიოდის შესახებ დეტალური ანგარიშის (გარდა შემომავალი ზარების ნომრების შესახებ ინფორმაციისა) მომზადება და შემსყიდველისათვის მიწოდება არის უფასო. მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველისათვის შემომავალი ზარებისა და ბოლოს წინა საანგარიშო პერიოდების დეტალური ანგარიში მიაწოდოს მხოლოდ შესაბამისი საფასურის გადახდის სანაცვლოდ, რაც განისაზღვრება მიმწოდებლის მიერ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში და არის ხარჯზე ორიენტირებული. შემსყიდველს დეტალური ანგარიში მიეწოდება შემსყიდველის საკონტაქტო პირის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ხოლო მოთხოვნის შემთხვევაში, ასევე მატერიალური დოკუმენტის ფორმით.

11. პორტირება

- 11.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს პორტირება მიმღები ოპერატორის ქსელში მიმწოდებლის მიერ მისთვის გამოყოფილი სააბონენტო ნომრით. პორტირების განხორციელების მომენტიდან მიმწოდებელი წვეტს შემსყიდველისთვის პორტირებულ სააბონენტო ნომერზე მომსახურების მიწოდებას. მიმწოდებელი უფლებამოსილია შეუზღუდავად შემსყიდველს პორტირება, თუ შემსყიდველს გააჩნია წინა საანგარიშო პერიოდ(ებ)ის დავალიანება (რომლის გადახდის ვადაც უკვე დამდგარია) ან/და დავალიანების გამო შეზღუდული აქვს მომსახურების მიწოდება. მიმწოდებელი პორტირებას ზღუდავს შემსყიდველის მიერ დავალიანების სრულად დაფარვამდე.
- 11.2. შემსყიდველი უფლებამოსილია გააფორმოს სატელეფონო მომსახურების შეკვეთის ფორმა მიმწოდებელთან სხვა სატელეფონო ქსელის ოპერატორიდან მიმწოდებლის ქსელში პორტირების შედეგად, დონორი ოპერატორის მიერ მისთვის სარგებლობაში გადაცემული სატელეფონო ნომრით. ასეთ შემთხვევაში, მიმწოდებელი, როგორც მიმღები ოპერატორი, არ გადასცემს მას სარგებლობაში ახალ სააბონენტო ნომერს, მოხდება მხოლოდ სატელეფონო მომსახურების მიწოდება შეკვეთის ფორმით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.
- 11.3. სააბონენტო ნომრის პორტირება, როგორც მიმწოდებლის საკომუნიკაციო ქსელში, ასევე, მიმწოდებლის საკომუნიკაციო ქსელიდან სხვა სატელეფონო საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორის ან მომსახურების მიმწოდებლის მიმართულებით, ხორციელდება მხოლოდ პორტაბელურობის დებულების მიერ განსაზღვრული წესების მიხედვით.
- 11.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია უარი თქვას პორტირების გზით სააბონენტო ნომრის თავის საკომუნიკაციო ქსელში ჩართვაზე, თუ მას არ გააჩნია პორტირების მსურველი პირის მომსახურებისათვის საჭირო ტექნოლოგიური საშუალებები (საკომუნიკაციო ქსელი პორტირების მსურველი პირის მისამართზე) და თუ მოცემული პორტირებული სააბონენტო ნომრის მომსახურებისათვის მას მოუწევს დამატებითი ხარჯების გაღება.
- 11.5. დონორ ოპერატორთან არსებულ ანგარიშზე, პორტირებული სააბონენტო ნომრით მომსახურების მიმღები ბოლო მომხმარებლის (აბონენტის) გაუხარჯავი თანხა მიიმართება მიმღებ ოპერატორთან, ამავე ბოლო მომხმარებლის (აბონენტის) ანგარიშზე გადარიცხვის მომსახურების ხარჯების გამოკლებით.
- 11.6. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს პორტირებულ და არაპორტირებულ სააბონენტო ნომრებზე ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების სახეების მიწოდების თანაბარი შესაძლებლობა და ერთგვაროვანი ხარისხი.

12. პორტირების წინაპირობები

- 12.1. როდესაც მიმწოდებელი არის მიმღები ოპერატორი, მაშინ მიმწოდებლის სატელეფონო ქსელში ჩართვის მსურველი შემსყიდველი მიმართავს მიმწოდებლის შესაბამის მენეჯერს და ავსებს მიმწოდებლის მიერ დამტკიცებულ განაცხადის ფორმას.
- 12.2. თუ მიმწოდებელი არის დონორი ოპერატორი და შემსყიდველის სურს მიმწოდებლის სატელეფონო ქსელიდან პორტირება სხვა საკომუნიკაციო ქსელის ოპერატორთან, მაშინ შემსყიდველი პირდაპირ მიმართავს სასურველ მიმღებ ოპერატორს, მიმწოდებლის თანხმობისა და მისთვის რაიმე შეტყობინების გაგზავნის გარეშე.
- 12.3. მიმღებ ოპერატორთან შემსყიდველის მიერ გაკეთებული განცხადების საფუძველზე მიმღები ოპერატორი თავად მოახდენს დონორი ოპერატორის ინფორმირებას პორტაბელურობის დებულებით დადგენილი წესის შესაბამისად.
- 12.4. მიმწოდებელი, შემსყიდველის მიერ წარდგენილი პორტირების მოთხოვნის განაცხადის საფუძველზე, უზრუნველყოფს განაცხადში მითითებული სააბონენტო ნომრის პორტირებას, განაცხადში განსაზღვრულ თარიღამდე, იმ შემთხვევაში თუ:
 - 12.4.1. განაცხადი წარდგენილია უფლებამოსილი პირის – სააბონენტო ნომრის მართლზომიერი მფლობელის მიერ, რომელსაც გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დონორ ოპერატორთან მომსახურების მიღებაზე და მიმწოდებელთან განაცხადის წარდგენის დღეს სარგებლობს დონორი ოპერატორის მომსახურებით.
 - 12.4.2. განაცხადში მითითებული ინფორმაცია არ არის დაუსრულებელი, უზუსტო, ყალბი, მცდარი, ან/და არ შეესაბამება, განაცხადში მითითებულ სააბონენტო ნომერთან დაკავშირებით, დონორ ოპერატორთან შენახულ/რეგისტრირებულ ინფორმაციას;
 - 12.4.3. პორტირების მსურველ პირს არ აქვს წარდგენილი განაცხადი იგივე სააბონენტო ნომრის სხვა მიმღებ ოპერატორთან პორტირების თაობაზე;
 - 12.4.4. განაცხადში განსაზღვრული სააბონენტო ნომრის უკანასკნელი პორტირებიდან გასულია 30 კალენდარული დღე;
 - 12.4.5. განაცხადში განსაზღვრული სააბონენტო ნომრის აბონენტად გახდომიდან გასულია 30 კალენდარულ დღეზე მეტი;
 - 12.4.6. პორტირების მსურველ პირს დონორი ოპერატორის მიმართ არ გააჩნია წინა თვის/თვეების დავალიანება და არ აქვს დავალიანების გამო შეზღუდული მომსახურების მიწოდება, რაც უკავშირდება სააბონენტო ნომრით სარგებლობას / მომსახურებას;
 - 12.4.7. განაცხადში მითითებულ სააბონენტო ნომერზე და მისამართზე ტექნიკურად მომსახურების მიწოდება შესაძლებელია;
 - 12.4.8. პორტირების მსურველი პირი არ ითხოვს პორტირებას ფიქური ორგანიზების ტიპის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებით ფიქსირებული სატელეფონო მომსახურების მიმწოდებელ ავტორიზებულ პირთან.

- 12.5. პორტირებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიმწოდებელი აცნობებს მომხმარებელს პორტირებაზე უარის თქმის მიზეზების შესახებ. პორტირების მსურველი მომხმარებლის მიერ პორტირებაზე უარის თქმის მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ, ეს უკანასკნელი უფლებამოსილია განმეორებით მიმართოს მიმწოდებელს პორტირების თაობაზე განაცხადით.
- 12.6. პორტირების პროცესის მიმდინარეობისას შესაძლებელია შემსყიდველს დროებით, ნაწილობრივ ან სრულიად შეუწყდეს მომსახურება, რომლის მაქსიმალური ჯამური ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს პორტირების შესახებ განაცხადში მითითებულ დროს. აღნიშნულ შემთხვევაში, მიმწოდებელი არ არის პასუხისმგებელი ასეთ მომსახურების შეფერხებაზე და აღნიშნული შემთხვევა არავითარ საფუძველს არ ქმნის, და არ წარმოშობს შემსყიდველის უფლებას, მოითხოვოს რაიმე სახის ზიანის ანაზღაურება.

13. ფორს-მაჟორი

- 13.1. არც ერთი მხარე არ აგებს პასუხს მეორე მხარის წინაშე და თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამის მიზეზი გახდა საგანგებო ხასიათის მქონე გადაუღებელი ძალა, რომლის წარმოშობაზე ხელშეკრულების მონაწილე მხარეები პასუხს არ აგებენ და რომლის არსებობის ან წარმოშობის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულების დადების მომენტში არ შეეძლოთ სცოდნოდით.
- 13.2. ფორს-მაჟორული მოვლენა დადასტურებული უნდა იქნეს კომპეტენტური ორგანოს მიერ.
- 13.3. ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობის შესახებ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის ხელთ არსებული საკომუნიკაციო საშუალებებით (ტელეფონი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა, კურიერი და სხვა).
- 13.4. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.
- 13.5. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ვალდებულების შესრულების პერიოდი შეჩერდება იმ დროით, რა დროსაც გასტანა ასეთმა გარემოებებმა, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება. თუ მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, თითოეული მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს მომსახურების ხელშეკრულების მოქმედება მეორე მხარისათვის წერილობითი შეტყობინების (მათ შორის, ელექტრონული საფოსტო შეტყობინება) გაგზავნის გზით.

14. მომსახურების შეწყვეტა

- 14.1. შემსყიდველს უფლება აქვს, შეწყვიტოს მომსახურება შეწყვეტის შესახებ კონკრეტული მიზეზის მითითებით, ნებისმიერ დროს მიმწოდებლისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზითა და მისთვის სასურველი შეწყვეტის თარიღის მითითებით. შეკვეთილი მომსახურების შეწყვეტის ფაქტი არ ათავისუფლებს შემსყიდველს შეწყვეტის თარიღისათვის მიმწოდებლის მიმართ დაგროვილი და გადაუხდელი დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან.
- 14.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შეწყვიტოს მომსახურება წინამდებარე ხელშეკრულებით პირდაპირ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. მიმწოდებელი ასევე უფლებამოსილია, შეწყვიტოს მომსახურება იმ შემთხვევაშიც, თუ შეუძლებელი ხდება შემსყიდველისთვის მომსახურების მიწოდება ობიექტური მიზეზების გამო, რაც შეიძლება იყოს, მაგალითად, მიმწოდებლის საკომუნიკაციო ქსელის მნიშვნელოვანი დაზიანება, შესაბამისი ტექნიკური საშუალებების განადგურება/არქონა და სხვა.

15. მარგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

- 15.1. ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყველა საკითხი, მხარეთა შეთანხმებით, მოწესრიგდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 15.2. ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა დავას, უთანხმოებას და პრეტენზიას მხარეები წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, შემსყიდველს შეუძლია მიმართოს შპს „კავკასუს ონლაინის“ დავების განმხილველ სამსახურს, რომელიც, არის მიმწოდებლის შიდა ფუნქციური ორგანო.
- 15.3. მხარეებს, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს, შეუძლიათ მიმართონ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას ან საქართველოს სასამართლოს.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 12 (თორმეტი) თვის ვადით. თუ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 1 (ერთი) თვით ადრე არც ერთი მხარე არ გამოხატავს ნებას მისი შეწყვეტის თაობაზე, ხელშეკრულება გაგრძელდება ავტომატურად იგივე ვადითა და პირობებით, ყოველი მომდევნო ვადის ამოწურვის შემდეგ.
- 16.2. როდესაც წინამდებარე ხელშეკრულება ან თითოეულ მომსახურება წყდება ვადაზე ადრე შემსყიდველის ინიციატივით და ეს არ არის გამოწვეული მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევით, მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების/მომსახურების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო, მოთხოვოს და შემსყიდველი ვალდებულია ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს საჯარიმო თანხა, რომელიც ტოლია წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში თითოეულ სერვისზე ან მთლიანად მიღებული მომსახურების საფასურის საშუალო თვიური მაჩვენებლის 20%-ის. ამასთან, იმ შემთხვევაში თუ შემსყიდველს არ აქვს გადახდილი შეკვეთის ფორმით გათვალისწინებული ინსტალაციის ერთჯერადი ღირებულება, მიმწოდებელს მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია, ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს აღნიშნული ღირებულება. დამატებით, იმ შემთხვევაში თუ მომსახურების გაწევის უზრუნველსაყოფად, მიმწოდებლის მიერ შექმნილი/შესრულებულია აპარატურა/სამუშაოები, რაც გათვალისწინებულია შეკვეთის ფორმით, მიმწოდებლის მოთხოვნის შემთხვევაში, შემსყიდველი ვალდებულია, ერთი თვის ვადაში აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამგვარი შექმნილი/შესრულებული აპარატურის/სამუშაოების ღირებულება, ამასთან აპარატურის ღირებულების გადახდის შემთხვევაში, მიმწოდებლის მიერ შექმნილი აპარატურა გადადის შემსყიდველის საკუთრებაში.

17. დასკვნითი დებულებები

- 17.1. მომსახურებაში შესაძლოა, პერიოდულად, შევიდეს ცვლილებები, რაც გაფორმდება შეკვეთის ფორმის დანართის სახით. მხარეები გააფორმებენ ახალ შეკვეთის ფორმას თუ ხდება ახალი მომსახურებ(ებ)ის დამატება. ამასთან, ახალი შეკვეთის ფორმა არ აუქმებს ძველ შეკვეთის ფორმებს.

- 17.2. ყველა ის შემთხვევა და პირობა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ხელშეკრულებით, განიხილება და გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
- 17.3. ხელშეკრულების ყველა პირობა და დებულება ვრცელდება და სავალდებულოა მხარეთა უფლებამონაცვლეთათვის, სამართალმემკვიდრეთათვის, წარმომადგენელთათვის, რწმუნებულებისა და მუშაკებისათვის.
- 17.4. ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ძალას კარგავს მხარეთა შორის მანამდე არსებული და ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი, მიმოწერა და ზეპირი შეთანხმება.
- 17.5. ხელშეკრულების ყველა დამატება, ცვლილება და შესწორება იურიდიულ ძალას იქონის მხოლოდ მას შემდეგ, რაც შესრულებული იქნება წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი იქნება მხარეთა უფლებამოსილი პირების მიერ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მომსახურების კონკრეტული პირობების ცვლილება ხორციელდება მიმწოდებელს მიერ ცალმხრივად, შემსყიდველისათვის ხელშეკრულების შესაბამისად შეტყობინების გაგზავნის გზით.
- 17.6. შემსყიდველი პასუხს აგებს შეკვეთის ფორმაში მითითებული შემსყიდველის საკონტაქტო მონაცემების სისწორეზე. მითითებულ მონაცემთაგან რომელიმეს ცვლილების თაობაზე შემსყიდველმა წინასწარ და წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებელს.
- 17.7. მოქმედი კანონმდებლობის ცვლილება, რომელიც ცვლის ან აუქმებს ხელშეკრულების რომელიმე დებულებას, არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ან მისი სხვა დებულებების ბათილობას. ამ შემთხვევაში მხარეები შეეცდებიან, მოქმედ კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულება შეცვალონ ისეთი დებულებით, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს კანონმდებლობასთან შეუსაბამო ან ბათილი დებულების არსს.
- 17.8. ყოველგვარი ორპირობისა და გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, მხარეები ადასტურებენ და თანხმდებიან, რომ ხელშეკრულება ან მისი რომელიმე ნაწილი არ შეიძლება განიხილოს ისე, რომ იგი ეწინააღმდეგებოდეს მომხმარებელთა უფლებების დაცვის რეგლამენტს ან/და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ იმპერატიულ მოთხოვნებს.

მხარეთა ხელმოწერები:

<p>მიმწოდებელი</p>  <p>გაბ კომპოზიტი ტენერალური დირექტორის მოადგილე</p>	<p>შემსყიდველი</p>  <p>გურამ ნიკოლაშვილი გაერთიანების დირექტორი</p>
--	---



30/12/2016 წელი

მხარეები: ერთი მხრე, შპს "მედიკომბი" (შემდგომში "შემსრულებელი") - ს/კ 204876606, იურიდიული მისამართი: პოდლკოვსკაია #7, თბილისი, საქართველო და, მეორეს მხრე, თბილისის მედიათეკების გაერთიანება (შემდგომში "დამკვეთი") - ს/კ 404967087, იურიდიული მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზირი 76.

1. წინამდებარე შეკვეთის ფორმა წარმოადგენს მხარეთა შორის 2016 წლის 30 დეკემბერს გაფორმებულ "სატელეფონო მომსახურების გაწევის ხელშეკრულების" (შემდგომში "ხელშეკრულება") დანართ #1-ს. დამკვეთის მიერ შეკვეთილი სატელეფონო მომსახურების ძირითადი მახასიათებლები და ფინანსური პირობები მოცემულია ცხელში:

საბონენტო ნომერი	მომსახურების მიღების მისამართი	ყოველთვიური საბონენტო გადასახდელი (ლარი)		
		საბონენტო ნომრისთვის	სატელეფონო არხებისთვის (ჯამური)	ლიმიტი
2207629	ვარკეთილივ 1მკ ნაკვეთი 028.054	5 ლარი	5 ლარი	45
2207628	ვარკეთილივ 1მკ ნაკვეთი 028.054	5 ლარი	5 ლარი	45

2. ცხრილში მოცემული ზოგიერთი პირობის განმარტება:

- 2.1. დღეებით გამოხატული ინსტალაციის ვადა წარმოადგენს სამუშაო დღეების (ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით) რაოდენობას, რომელიც აითვლება წინამდებარე შეკვეთის ფორმის გაფორმების მეორე დღიდან; შესრულებული უფლებამოსილია განხორციელოს ინსტალაცია ინსტალაციის თარიღის დადგომამდე ნებისმიერ დროს. ინსტალაციის განხორციელების ფაქტს ადასტურებს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი;
- 2.2. ერთჯერადი საფასურების გადახდა ხდება შესაბამისი მომსახურების პირველი თვის საბონენტო გადასახდელის გადახდასთან ერთად;
- 2.3. ყოველთვიური საბონენტო გადასახდელის გადახდა ხორციელდება შემდგომი გადახდის პირობით; ყოველი შემდგომი კალენდარული თვის არაუგვიანეს 14 რიცხვისა, ხოლო თუ ეს თარიღი ემთხვევა არასამუშაო/დასვენების დღესს, მაშინ არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღის 17:00 საათამდე;
- 2.4. ცხრილით განსაზღვრული თანხები მოიცავს:

3. შემსყიდველი მიმწოდებელს, ყოველთვიურ საბიჯნეტო გადასახდელთან ერთად და მისი გადახდისთვის დადგენილ ვადაში, ასევე გადაუხდის წინა საანგარიშო პერიოდში დარიცხული სატელეფონო კავშირების წუთობრივ ღირებულებას. დარიცხვა განხორციელდება ამ შეკვეთის ფორმის სპეციალურ დანართში მოცემული ტარიფების შესაბამისად. აღნიშნული დანართი თან ერთვის წინამდებარე შეკვეთის ფორმას და წარმოადგენს მის ნაწილს.
4. ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების გზით მიმწოდებლის შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვით:
 - მიმღები: შპს "მათიკომი"
 - ს/კ: 204876606
 - ბიზნესური ბანკი: ვითობი ბანკი
 - ბანკის კოდი: UGEBGE22
 - ანგარიშის N: GE73VT660000000423607
5. ხელშეკრულებით განსაზღვრული შეტყობინებები იგზავნება მხარეთა შემდეგი საკონტაქტო ინფორმაციის შესაბამისად:
 - შემსყიდველის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი	ია ქემულაშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია:	E-mail: office@mediathek.ge
	Mob.: 551959324
	Tel.: 0322241024
	მისამართი: ჭავჭავაძის 76

მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია:

საკონტაქტო პირი	ანა ჩხეიძე
საკონტაქტო ინფორმაცია:	E-mail: a.chkheidze@co.ge
	Mob.: +995577208765
	Tel.: +995 322970385
	მისამართი: ვაჟა-ფშაველას #71

თუ ივკლება შემსყიდველის ან მენეჯერის საკონტაქტო ინფორმაცია - მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ცვლილების შესახებ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით ცვლილებამდე 3 სამუშაო დღით ადრე.

6. ამ შეკვეთის ფორმაში ნახსენებ ტერმინებს აქვთ ხელშეკრულებით განსაზღვრული მნიშვნელობა.

მხარეთა ხელმოწერები:

მიმწოდებელი	შემსყიდველი
გბზ კომპონი	გაერთიანებული დირექტორი
გაერთიანებული დირექტორის მზადდელი	გაერთიანებული დირექტორი

